მოწვევა ტენდერზე

თარიღი: 29 ივლისი, 2026

სესხის ნომერი და დასახელება: 3982-GEO: წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამა

კონტრაქტის ნომერი და დასახელება: EQ-5 - საწარმოს რესურსების მართვის სისტემის (ERP) შესყიდვა

სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა: 09 სექტემბერი, 2026 თბილისის დროით 16:00 სთ.

1. საქართველოს მთავრობამ, „წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამის დაფინანსების“ ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო სესხი. მიღებული სახსრების ნაწილის გამოყენება იგეგმება ზემოხსენებული კონტრაქტების დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემსყიდველი) იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად EQ-5 - საწარმოს რესურსების მართვის სისტემის (ERP) შესყიდვაზე.
3. საერთაშორისო ტენდერი ჩატარდება „აზიის განვითარების ბანკის“ შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით, ე.წ. „ერთეტაპიანი: ერთკონვერტიანი“ ტენდერის ფარგლებში და ღიაა ყველა პრეტენდენტისათვის უფლებამოსილი ქვეყნებიდან, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია აღწერილი.
4. მხოლოდ უფლებამოსილ პრეტენდენტებს, ვინც აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტებში მოცემულ შემდეგ საკვანძო საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, შეუძლიათ ტენდერში მონაწილება:

   - **საკონტრაქტო გამოცდილება:**

     გასული **სამი (3) წლის** განმავლობაში, მთავარ მომწოდებლად, მინიმუმ **USD 1,700,000.00** ღირებულების კონტრაქტის წარმატებით შესრულების გამოცდილება. კონტრაქტის საგანი და სირთულე უნდა იყოს მე-6 ნაწილში (მოთხოვნების გრაფიკი) აღწერილი მომსახურების მსგავსი.

   - **ტექნიკური გამოცდილება**

     ტენდერში მონაწილემ უნდა დაადასტუროს, რომ შემოთავაზებული პროდუქტი მინიმუმ 3 ცალი გაყიდულია ბოლო 3 წლის განმავლობაში. ოპერირებაში იყო ბოლო 3 წლის განმავლობაში.

   - **ისტორიული ფინანსური მაჩვენებლები:**

     აუდირებული ფინანსური ანგარიშების ან, თუ პრეტენდენტის ქვეყნის კანონი აუდიტს არ ავალდებულებს, შემსყიდველისთვის მისაღები სხვა ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა, გასული **სამი (3) წლისთვის (2022, 2023 და 2024 ფინანსური წლები),** რათა პრეტენდენტმა დაადასტუროს ფინანსური მდგომარეობის გამართულობა. როგორც მინიმუმ, პრეტენდენტის ბოლო წლის წმინდა მოგება რომელიც გამოითვლება ვალდებულებებისა და აქტივების სხვაობით, უნდა იყოს დადებითი.

   - **საშუალო წლიური ბრუნვა:**

მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა, რომელიც გამოითვლება გასული **სამი (3) წლის** განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში მიღებული გადახდებით უნდა შეადგენდეს მინიმუმ **USD 1,650,000.00.**

- **ნაღდი ფულის მიმოქცევა**

ლიკვიდურ აქტივებზე, საკრედიტო ხაზებსა და სხვა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც უზრუნველყოფს ნაღდი ფულის მიმოქცევის მოთხოვნის დაკმაყოფილებას 1,500,000.00 აშშ დოლარის ოდენობით.

5. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ:
   შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
   ია მაზანიშვილი და/ან თამარ გოგოლაძე
   მისამართი: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 5/7
   სართული/ოთახის ნომერი: პირველი სართული
   ქალაქი: თბილისი
   ZIP კოდი: 0186
   ქვეყანა: საქართველო
   ტელეფონი: (995 32) 291 90 60
   ფაქსი: (995 32) 22 00 36
   ელექტრონული ფოსტის მისამართი: info.procurement@water.gov.ge
   ასლი: i.mazanishvili@water.gov.ge tamar.gogoladze@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტები გაიცემა ელექტრონული ფორმით მე-5 პუნქტში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

7. წარმოადგინეთ სატენდერო წინადადებები:

- ზემოხსენებულ მისამართზე სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღში ან ამ თარიღის ამოწურვამდე: 2026 წლის 09 სექტემბერს 16:00 საათზე (თბილისის დროით). სატენდერო წინადადების გარანტიასთან ერთად. გარანტიის შესახებ სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად. სატენდერო წინადადებები გაიხსნება წინადადებების ჩაბარების ვადის ამოწურვიდან დაუყოვნებლივ, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ გახსნაზე დასწრებას.

8. შემსყიდველი არ არის პასუხისმგებელი პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებების მომზადება-ჩაბარებისას გაწეულ ხარჯებზე.